# ერთიანი ჯანმრთელობის პრინციპების დანერგვა და ზოონოზების კონტროლი საქართველოში

*ირინე კალანდაძე,*
*ხ. ზახაშვილი, ა. ნავდარაშვილი*
*გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტი, დკსჯეც*

*თბილისი, საქართველო* , 2016 წ.

# ერთიანი ჯანმრთელობა




მულტისექტორული დისციპლინების ერთობლიობაა, რომელიც ეფექტურია ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე - ადამიანებში, ცხოველებში და გარემოში ჯანმრთელობის ოპტიმალური დონის მისაღწევად.

# სირთულეები ზოონოზების კონტროლის სფეროში

- ინტერსექტორული თანამშრომლობის მოშლა
- კონტროლის ღონისძიებათა არარაციონალური გატარება
- ზოონოზების შემთხვევათა მატება და ზოგ შემთხვევაში აფეთქება

# დკსჯე ცენტრის ინიციატივა

ერთიანი ჯანმრთელობის კონცეპციის დანერგვა

- საკანონმდებლო ბაზის შექმნა
- ერთიანი ჯანმრთელობის ჯგუფის შექმნა
- სამუშაოების ერთობლივად წარმოება
- პროცესის გაფართოვება და მასში სხვადასხვა სამსახურების ჩაბმა

# ერთიანი ჯანმრთელობის კონცეპცია

## საკანონმდებლო ბაზა

- 2010წ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრების ერთობლივი ბრძანება „ზოონოზური დაავადებებისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით დაავადების გამოვლენის შემთხვევის შესახებ ურთიერთინფორმირების წესის დამტკიცემის თაობაზე“,
- 2014 წ. მთავრობის განკარგულება ,,ცოფის პრევენციის მიზნით 2014-2018 წლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“,
- 2015 წ. მთავრობის განკარგულება „ინფექციურ დაავადებებზე, მათ შორის, განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეულ დაავადებებზე, ეპიდზედამხედველობის ინტეგრირებული ეროვნული სისტემის ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“.

# ერთიანი ჯანმრთელობის კონცეპცია

დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა (დზეის):

- ინფორმაციის გაცვლა სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის სამინისტროებს შორის
- ყოველი ახალი შემთხვევის გამოვლენისას ადამიანის, ვეტერინარული და ვექტორული მეთვალყურეობა

# ერთიანი ჯანმრთელობის კონცეპცია

2013 წ. - ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამის სამეთვალყურეო ჯგუფი:

- სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს)
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
- დკსჯეც
- საერთაშორისო სააგენტოები





# ერთიანი ჯანმრთელობა - ქმედებები

- 2013 წლიდან სეს-ის მიერ ხორციელდება ცხოველებში **ჯილეხი**ს ვაქცინაცია, რის შედეგადაც 2014 - 2015 წლებში 40%-ით შემცირდა დაავადების ინციდენტობა ადამიანებში და ცხოველებში.

- **ცოფი**ს განკარგულების შესაბამისად, 2014-2015 წლებში სეს-ის მიერ განხორციელდა შინაური ცხოველების მასიური ანტირაბიული ვაქცინაციის კამპანია, რის შედეგად
  - ✓ძაღლებში 43,5%-ით შემცირდა ცოფით დაავადების ლაბორატორიული დადასტურება,
  - ✓ ადამიანებში 1990 წლის შემდეგ პირველად 2015-2016 წლებში ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

# ერთიანი ჯანმრთელობა - ქმედებები

- 2013 წ. - საქართველოში პირველად იქნა გამოვლენილი ორთოპოქსვირუსის ახალი გენოტიპი - **ახმეტა ვირუსი.**

- დკსჯეც-მა და სეს-მ აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრთან ერთად ანხორციელებს პროექტს „ცხელებით და კანის დაზიანებებით მიმდინარე ზოონოზური ინფექციების შემთხვევების გამოვლენისა და დიაგნოსტირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში".



# ერთიანი ჯანმრთელობა - ქმედებები

**2014 წ. - ბრუცელოზი**

- სეს-მა განახორციელა ცხოველებზე აქტიური ზედამხედველობა **ბრუცელოზის** გავრცელების შესწავლის მიზნით
- დკსჯეც-მა განახორციელა სამუშაოები ყველაზე დაზარალებულ რაიონებში. კერძოდ:
  - ✓ ბრუცელოზზე საეჭვოდ მიჩნეულ პირთაგან ხდებოდა სისხლის ნიმუშების აღება,
  - ✓ ჩატარდა ლექციები პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათის,
  - ✓ სოფლის მოსახლეობაში ჩატარდა ბრუცელოზის სასწავლო-საგანმანათლებლო საუბრები.

# ერთიანი ჯანმრთელობა - ქმედებები

## ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება

- 2014წ. საქართველოში დაფიქსირდა ავადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

- 2014-2015 წლებში სეს-მა იმ ტერიტორიებზე, სადაც დაფიქსირდა ადამინის შემთხვევები გაატარა ვექტორების (ტკიპების) საწინააღმდეგოდ ცხოველებისა და მათი სადგომების ინსექტოაკარიციდებით დამუშავება

- 2015-2016 წლებში შემთხვევების რიცხვმა ადამიანებში იკლო.

# ერთიანი ჯანმრთელობა - ქმედებები







2013-2015 წლებში
ჩატარდა საგანმანათლებლო კამპანია,
რომლის ფარგლებში საინფორმაციო მასალა ზოონოზურ დაავადებებზე მოსახლეობაში გავრცელდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.






# ერთიანი ჯანმრთელობა - ქმედებები

2014 და 2015 წლებში გაიმართა ერთიანი ჯანმრთელობის მასტერკლასის 2 შეხვედრა - ხელახლა წარმოქმნილი დაავადებების ზედამხედველობა და ოპერატიული რეაგირება



❖საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა
❖სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის
❖აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის ხელშეწყობითა და დაფინანსებით

- შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
- დკსჯეც
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
- შინაგან საქმეთა სამინისტრო - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

# რეკომენდაციები/პრობლემები

- ადამინი-ცხოველი-გარემოს ურთიერთქმედების უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება
- არსებული ხარვეზების აღმოფხვრა ეფექტური მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით.
- მუშაობის გაძლიერება ერთიანი ჯანმრთელობის პრინციპების დასანერგად რაიონულ და რეგიონულ დონეებზე
- ადამინი-გარემოს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება:
  - ✓ზოონოზური, მათ შორის წყლითა და საკვებით გადაცემადი, ინფექციების გამოვლენა
  - ✓დაბინძურების ზემოქმედების გამოვლენა და შემცირება

ერთიანი ჯანმრთელობის პრინციპით მუშაობა ეფექტურია, იძლევა შედეგს, ზოგავს დროს

და

ეკონომიურად მომგებიანია



# დიდი მადლობა ყურადღებისთვის



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

NCDC

www.ncdc.ge